პროფესიონალი

PROFESIONALI

№68

ფასი 2 ლარი

სუბტროპიკსიტი

მრავალფუნქციური საცხოვრებელი ქომფლექსი

პროფესიონალი +

მთ.რედაქტორი:
ელა დუდაევი

სარედაქციო ჯოლეგია

მისამართი:
თბილისი, ჰ. ინგოროყვას №6
ტელ.: 299-82-60

E-mail:profesionali@mail.ru

ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

30.08.14.-30.09.14

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა

პარლამენტის პლენარული სხდომა

პარლამენტი, თბილისში მდებარე პარლამენტის შენობასთან ავტოპარკინგის მოწყობის მიზნით, ავტოსადგომის ფართს 1 მილიონ 155.6 ათასს ლარად შეიძენს. სწორედ ამ მიზანს ემსახურება 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში პარლამენტისთვის გათვალისწინებული ასიგნებების მოცულობის 1 მილიონ 155.6 ათასი ლარით შემცირების გადაწყვეტილება. აღნიშნული თანხა ცენტრალური ბიუჯეტისკენ მიემართება და შესყიდვას ეკონომიკის სამინისტრო განახორციელებს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული დადგენილების პროექტი



პლენარულ სხდომაზე საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტის თავმჯდომარემ, დავით ონოფრიშვილმა გააცნო დეპუტატებს. მისი თქმით, შეთანხმება პარლამენტსა და სამშენებლო კომპანიასთან ჯერ კიდევ წინა მოწვევის პარლამენტში არსებობდა. მისივე განმარტებით, ავტოფარეხის შესყიდვის პირობები ხელსაყრელია.

თბილისში, პარლამენტისთვის ავტოფარეხის შეძენის გადაწყვეტილება მიუღებელი აღმოჩნდა უმცირესობისთვის. როგორც პლენარულ სხდომაზე ითქვა, მანქანების დასაყენებლად ფული არ უნდა იხარჯებოდეს იქ, სადაც პარლამენტის ადგილსამყოფელი არ არის.

საკითხი პლენარულ სხდომაზე დებატების საგანი გახდა.

უმცირესობის წარმომადგენლის, ნუგზარ წიკლაურის შეფასებით, მმართველმა გუნდმა ქუთაისში პარლამენტის მიტოვებით ქუთაისი მიატოვა.

"პარლამენტიც და ქუთაისიც უპატრონოდ არის მიტოვებული. ბიზნესიც აღარ მოდის ქუთაისისკენ, რადგან არ იცის, იქნება თუ არა ამ ქალაქში პარლამენტი და სხვა სახელმწიფო ინსტიტუციები", - განაცხადა ნუგზარ წიკლაურმა პარლამენტის პლენარულ სხდომაზე. უმცირესობის მოსაზრებით, 23 მილიონი ლარი უკანონოდ დაიხარჯა იმ შენობის აღდგენაზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციით პარლამენტის სამუშაო შენობას არ წარმოადგენს.

* * *

უმცირესობის წარმომადგენლების განცხადებებს დეპუტატმა, ზურაბ ტყემალაძემ უპასუხა. "ბრძანებთ, რომ 23 მილიონი ლარი უკანონოდ დაიხარჯა შენობის აღდგენისათვის. რატომ დაიხარჯა უკანონოდ? შენობა პარლამენტის ბალანსზეა და არ უნდა განადგურდეს. მოდი, იკითხეთ, ვინ დაანგრია და რატომ დაანგრია პარლამენტის შენობა? რატომ მოხდა მთელი ინვენტარის განადგურება? შემიძლია განახოთ პარლამენტის მაშინდელი თავმჯდომარის ბრძანებები. მას შემდეგ, რაც 2012 წლის არჩევნებში მარცხი განიცადეთ და ძალაუფლება დაკარგეთ, 1 ოქტომბრიდან 20 ოქტომბრამდე გამოცემულია ბრძანებები ქონების სხვადასხვა პირებისთვის გადაცემის შესახებ. რა უფლება ჰქონდა უფლებაშეზღუდულ პიროვნებას?" - მიმართა უმცირესობას ზურაბ ტყემალაძემ.

* * *

უკანონო აბორტზე სასჯელი მკაცრდება. აღნიშნულ საკანონმდებლო ცვლილებას დეპუტატებმა დღევანდელ პლენარულ სხდომაზე მეორე მოსმენით უყარეს კენჭი. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, დიმიტრი ხუნდაძის თქმით, მოქმედი კანონის მიხედვით, უკანონო აბორტი ჯარიმით ან საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომით ისჯება, რომლის ვადაც 100-დან 240 საათამდეა. ცვლილებების მიხედვით, უკანონო აბორტისთვის პირველ ჯერზე ექიმს 1-დან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება, განმეორებით შემთხვევაში კი 2-დან 5 წლამდე.

* * *

პლენარულ სხდომაზე „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ კანონში შესატანი ცვლილებები პირველი მოსმენით განიხილეს, რომლითაც კოდექსის სათანადო მუხლი შესაბამისობაში მოდის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდე-

ბაში აგრესიის დეფინიციის ახლებურ განსაზღვრებასთან. წარმოდგენილი ცვლილებით, აგრესიის აქტი განისაზღვრება, როგორც სახელმწიფოს მიერ შეიარაღებული ძალის გამოყენება სხვა სახელმწიფოს სუვერენიტეტის, ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ან სხვაგვარად, რაც ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებას. მუხლის შენიშვნის მიხედვით კი აგრესიის აქტის დაგეგმვის, მომზადების, დაწყების ან წარმოებისათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება პირს, რომელსაც თავისი მდგომარეობის გამო გააჩნია სახელმწიფოს პოლიტიკური ან სამხედრო მოქმედებების ეფექტური კონტროლის ან ხელმძღვანელობის შესაძლებლობა.

* * *

პირველი მოსმენით განიხილეს ასევე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ კანონპროექტი. წარმოდგენილი ცვლილებით, იმ ვადის განმავლობაში, როდესაც მოსამართლეს გაგრძელებული აქვს უფლებამოსილება, ის არ შეიძლება დაინიშნოს სასამართლოს თავმჯდომარედ, თავმჯდომარის მოადგილედ, კოლეგიის ან პალატის თავმჯდომარედ, ან რომელიმე ამ თანამდებობის პირის მოვალეობის შემსრულებლად. ხოლო თუ პირი, რომელსაც მოსამართლის უფლებამოსილება გაუგრძელდა, საპენსიო ასაკის მიღწევის ან თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის დროს სასამართლოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე, პალატის ან კოლეგიის თავმჯდომარე, ან ამ თანამდებობებზე მოვალეობის შემსრულებელია, მას შეუწყდება სასამართლოს თავმჯდომარის/მოადგილის, კოლეგიის, პალატის თავმჯდომარის ან მოვალეობის შემსრულებლის უფლებამოსილება (როგორც მენეჯერული უფლებამოსილება) საპენსიო ასაკის მიღწევის ან თანამდებობაზე ყოფნის ვადის გასვლის შემდეგ, მოსამართლის უფლებამოსილების ვადის გაგრძელების მიუხედავად.

პარლამენტის წევრების, ვახტანგ ხმალაძის და შალვა შავგულიძის ინიციატივით „სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლების შესახებ“ საქართველოს კანონში შესატანი ცვლილებები დეპუტატებმა პირველი მოსმენით განიხილეს.

* * *

წარმოდგენილი კანონის პროექტით გარდაცვლილი პირის პირადი არაქონებრივი უფლებების დასაცავად ცილისწამების თაობაზე სასამართლოსათვის მიმართვა შეუძლია პირს, რომელსაც საამისოდ აქვს დაცვის ინტერესი. მას ასევე შეუძლია სახელისა და ღირსების ისეთი დაცვის მოთხოვნის განხორციელება, რომელიც პიროვნების არსების განმსაზღვრელია და გრძელდება სიკვდილის შემდეგაც. ამასთან, პროექტის მიხედვით, სახელის, პატივის, ღირსების ან საქმიანი რეპუტაციის შელახვისათვის მორალური ზიანის ქონებრივი ანაზღაურების მოთხოვნა სიკვდილის შემდეგ დაუშვებელია.

* * *

პირველი მოსმენით განიხილეს ასევე კანონპროექტები: საქართველოს კანონის პროექტი „მეზღვაურთა განათლებისა და სერტიფიცირების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

დღევანდელ პლენარულ სხდომაზე მესამე მოსმენით განიხილეს და მიიღეს კანონპროექტი: „ცოცხალი გენმოდიფიცირებული ორგანიზმების შესახებ“; „გარემოს დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“; „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“; „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“.

* * *

პლენარულ სხდომაზე ბარბარე რაფალიანცის საქმის შესასწავლად საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობაზე იმსჯელეს. ბარბარე რაფალიანცის საქმეზე საგამოძიები კომისიის შექმნის ინიციატივით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარები“, „ნაციონალური მოძრაობა - რეგიონები“ გამოვიდა. უმრავლესობას მიაჩნია, რომ აღნიშნული საკითხის გამოძიება სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციაა. კომისიის შექმნას 30-მა დეპუტატმა დაუჭირა მხარი, რაც კომისიის შესაქმნელად საკმარისი რაოდენობა არ არის.

უკანასკნელი ორი წელი, ჩვენი ქვეყნისთვის, სიახლეების, ცვლილებების და გამოწვევების პერიოდი იყო. დღეს, მიზანმიმართული და სწორი დაგეგმარების შედეგად, საქართველოს მთავრობის რეგიონული განვითარების პოლიტიკა განსაზღვრულ სტრატეგიულ მიზნებს შეესაბამება და მათ განხორციელებას ემსახურება. ნიშანდობლივია, რომ ხელისუფლების ყურადღების არეალი მხოლოდ თბილისის პრობლემატიკით არ შემოიფარგლება. მსოფლიოს გამოცდილების შესაბამისად, რეგიონული განვითარების პოლიტიკის შემუშავების უპირატესობებად განიხილება ამა თუ იმ რეგიონის სტრუქტურული ცოდნა და მათი დიფერენცირება რესურსებისა და განვითარების მიხედვით. რაიონების სპეციფიკის ეფექტიანი გამოყენება არა მხოლოდ ადგილობრივ მცხოვრებთა, არამედ საერთო-საქვეყნო ინტერესს და ეროვნულ დონეზე განხორციელებული რეგიონული განვითარების პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს მიზანს წარმოადგენს. მოსახლეობა განსაკუთრებით გამოარჩევს და მიესალმება პროექტებს, რომლებიც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებასა და სამუშაო ადგილების შექმნაზეა ორიენტირებული. წინა წლებში, თერჯოლის რაიონს მუდამ აკლდა ცენტრალური ხელისუფლების ყურადღება და თანადგომა, თუმცა დროთა განმავლობაში ვითარება სასიკეთოდ შეიცვალა. რაიონის მომავალზე, მის პერსექტივებზე და მიმდინარე სოციალურ საკითხებზე თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ბატონი **მალხაზ გურგენიძე** გვესაუბრა...

ვცდილობთ ყველა პრობლემა მოვაგვაროთ

— ბატონო მალხაზ, როგორ მიმდინარეობს მუნიციპალიტეტის სტრუქტურის ჩამოყალიბება?

— როგორც მოგეხსენებათ, თერჯოლის რაიონში, ყველა დონეზე კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა და დღეისათვის საკრებულოში 20 დეპუტატით არის წარმოდგენილი. ამ ეტაპზე, რეორგანიზაციის შედეგად, კონკურსის საფუძველზე მოხდა თანამშრომელთა ნაწილის გათავისუფლება და ახალი კადრების დანიშვნა. ეს პროცესები გამჭვირვალედ მიმდინარეობს და საატესტატო მიღება ტესტირების და გასაუბრების საფუძველზე ხდება. კანონი საშუალებას გვაძლევს გამოვრიცხოთ პარტიული შეხედულებები და თანამშრომლები მათი პროფესიონალიზმის, განათლების და კეთილსინდისიერების შესაბამისად შევარჩიოთ. სხვაგვარ გადაწყვეტილებას მოსახლეობა ნამდვილად არ მიიღებს და ნეგატიურად შეაფასებს.

— მიმდინარე პრობლემებზე და პრიორიტეტებზე რას გვეტყოდით?

— რაიონში მიმდინარე პროექტების პრიორიტეტები, არსებითად, თანხვედრაშია ქვეყნის მასშტაბით არსებულ საჭიროებებთან, თუმცა მყისიერ გავლენას მათზე, ცხადია, ვერ ახდენს. მთავარი საერთო პრობლემა, რომელიც ყველა რეგიონს მეტ-ნაკლებად აერთიანებს, ეს არის დასაქმების პრობლემა. გარდა ამისა, ერთ-ერთი უმთავრესი მოსაგვარებელი საკითხი, რომელიც ასევე ყველა რეგიონში გამოიკვეთა, საგზაო ინფრასტრუქტურა და წყლის პრობლემებია. ამას დაემატა გვალვა და ცუდი მოსავლიანობა, რაც ძალზედ ნეგატიურად იმოქმედებს თერჯოლის რაიონის მოსახლეობის კეთილდღეობაზე. იმ დროს, როდესაც, სიმინდის მოსავალი, შარშანდელთან შედარებით 10-15%-ით არის შემცირებული, ხოლო ადგილობრივ მაცხოვრებელთა დიდი ნაწილი დაუსაქმებელია, პრობლემა უფრო თვალსაჩინო ხდება.

— რაც შეეხება ინფრასტრუქტურის სფეროს?

— ინფრასტრუქტურული სამუშაოების დროული და ეფექტური განხორციელება მნიშვნელოვანია, როგორც ქვეყნის, ისე ჩვენი რაიონის ეკონომიკური ზრდის უზრუნველსაყოფად. ინფრასტრუქტურულ პროგრამებს შორის, რომლებიც თერჯოლაში ხორციელდება, აღსანიშნავია სოფლის მხარდაჭერის პროგრამა და რეგიონებში გან-

სახორციელებელი პროგრამების ფონდი, რომელთა დაფინანსებაც ადგილობრივ თვითმმართველობებთან აქტიური თანამშრომლობით ხდება. სამუშაოების პირველი ეტაპი თითქმის დამთავრებულია. ქალაქის წყლის რეაბილიტაციისათვის გამოიყო 1 700 000 ლარი, რომელიც ტენდერში გამარჯვებულმა ფირმამ მთლიანად აითვისა და სამუშაოები ეფექტურად განახორციელა. დამატებით, მივიღეთ 172 000 ლარი, რაც რუფოთთან დამაკავშირებელ გზას მოხმარდება. ნაწილობრივ, სისტემაში მოვიყვანეთ მიტოვებული წყალსადენების რეაბილიტაციის საკითხი, რასაც ვფიქრობთ, დროთა განმავლობაში მთლიანად დავასრულებთ.

— ჯანდაცვის სფეროში რა სიახლეებია?

— ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ ძალზედ ეფექტურად მოქმედებს მოსახლეობის ჯანმრთელობის დაზღვევის სახელმწიფო პროგრამა, რომლის მიზანია, საშუალება მისცეს

ბენეფიციარებს, თავი დაცულად იგრძნონ და თანაგადახდით ან საფასურის გადახდის გარეშე, შეუზღუდავად მიიღონ სრულყოფილი სამედიცინო მომსახურება აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. რაიონში ამოქმედდა ახალი საავადმყოფო და ამბულატორია, ეფექტურად მუშაობს პირველადი სამედიცინო დახმარება, რაც სოციალურად შეჭირვებულ მოსახლეობას დიდ დახმარებას უწევს

— სოფლის მხარდაჭერის პროგრამა როგორ მიმდინარეობს?

— ამ პროგრამის განსახორციელებლად, თერჯოლის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო ბიუჯეტიდან 840 000 ლარი იყო გათვალისწინებული და აღნიშნული თანხა კონკრეტულ სოფლებში მოსახლეობის რაოდენობის მიხედვით განაწილდა. პროგრამით განსაზღვრული სახსრები ხმარდება ადგილობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული ობიექტების მშენებლობა-რეაბილიტაციას, საერთო სარგებლობის შენობების აღჭურვას. გარდა ამისა, სოფლის მოსახლეობის ინტერესები მაქსიმალურადაა გათვალისწინებული. ძირითადად, ეს არის ბეტონის გზების, სანიაღვრე არხების, საერთო სარგებლობის წყალსადენის და

სათაო ნაგებობის რეაბილიტაცია. აღნიშნული სამუშაოების 80% შესრულებულია და 2014 წლის ბოლომდე დამთავრდება.

— რაც შეეხება კულტურის სფეროს?

— თერჯოლის რაიონის ისტორიაში პირველად, კულტურის სახლს ჩაუტარდა სრული რეაბილიტაცია. აღდგენილია და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილია შესანიშნავი, 200 კაციანი დარბაზი, მოქმედებს რამოდენიმე სექცია, სადაც გაერთიანებულია ჩვენი რაიონის მოსწავლე-ახალგაზრდობა. თერჯოლაში ფუნქციონირებს სამუსიკო და ქორეოგრაფიული სასწავლებელი, რომელიც, ასევე დიდ სამსახურს უწევს რაიონის კულტურული სფეროს აღდგენა-განვითარებას.

— ბატონო მალხაზ, დღესდღეობით პრიორიტეტად რა მიგაჩნიათ?

— მოგეხსენებათ, თერჯოლა შედარებით ღარიბი რაიონია. შესაბამისად, ვცდილობთ გაჭირვებულ მოსახლეობას როგორმე დავეხმაროთ. განიხილება პროექტები, რომლებიც ადგილობრივ მოსახლეობის საცხოვრებელ პირობებს საგრძნობლად გააუმჯობესებს. საქმე ეხება სასმელი წყლის სათავე ნაგებობებისა და წყალსადენების მშენებლობა-რეაბილიტაციას, გზებისა და სანიაღვრე სისტემების მოწყობას, ბაგა-ბაღების შენობების სარემონტო სამუშაოებს. ოქტომბერში ჩატარდება ღვინის ფესტივალი, რომელიც ჩვენი ძალებით აღვადგინეთ და 23 ოქტომბერს გაიმართება. იმედი მაქვს ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების ურთიერთთანამშრომლობით ყველა პროექტს ბოლომდე მივიყვანთ. მიმაჩნია, რომ თუ საქმეს სულით და გულით უდგები, ყველა პრობლემა მოგვარდება და გამოსავალი მოიძებნება.

— დიდი მადლობა...

— მადლობა თქვენ, რომ ესეთ ინტერესს იჩენთ მუნიციპალიტეტის და ზოგადად ადგილობრივი ხელისუფლების მიმართ.

ქვეყანაში განახლების პროცესი მიმდინარეობს

მიუხედავად უკანასკნელი პერიოდის არაერთი სირთულისა, დასახულ ამოცანებს ქვეყანამ მეტნაკლები წარმატებით გაართვა თავი. სამთავრობო უწყებაში ახალი მენეჯმენტის მოსვლის შემდეგ და ადგილობრივ თვითმმართველობებთან მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად შეიცვალა მიდგომები ახალი პროექტების დაგეგმვისა და მათი განხორციელების კუთხით. გამჭვირვალე და კონკურენტუნარიანი გახდა სახელმწიფო ტენდერები და კონკურსები, შემუშავდა ხარისხის სტანდარტები და მნიშვნელოვნად გაიზარდა კონტროლის მექანიზმები. შეიქმნა პრიორიტეტების დადგენისა და პროექტების შერჩევის ახალი მეთოდოლოგია. იმ მრავალრიცხოვანი მასშტაბური პროექტების ფონზე, რომელიც მთელი საქართველოს ტერიტორიაზე ხორციელდება, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რაიონული მუნიციპალიტეტების ჩართულობა ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში. ადგილობრივი კადრები, რომლებიც თვითმმართველობაში ახალი არჩევნების შედეგად მოვიდნენ, თავდაუზოგავად შრომობენ მოსახლეობისათვის სოციალური და ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად. თერჯოლის რაიონი, სიმდიდრით და მაღალი შემოსავლებით ნამდვილად არ გამოირჩევა, რაც, სამწუხაროდ, ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ და ეკონომიკურ პირობებზე პირდაპირპროპორციულად მოქმედებს, თუმცა იმ სიახლეების ფონზე, რომელიც ქვეყანაში მიმდინარეობს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი **თეიმურაზ ჯაფარიძე**, იმედიანად არის განწყობილი...



— ბატონო თეიმურაზ, რა მდგომარეობა დაგხვდათ რაიონში?

— მძიმე სოციალური ფონი, რაც რაიონში დამხვდა, ვფიქრობ, წინა ხელისუფლების შეცდომებმა და უნიათო საქმიანობამ განაპირობა. წლების განმავლობაში რაიონის ინფრასტრუქტურა და ისედაც არამყარი ეკონომიკური გარემო საერთოდ განადგურდა და ხალხი უმუშევარი დარჩა. დღის განმავლობაში გამგეობას ათეულობით გაჭირვებული ადამიანი აკითხავს და ჩვენგან თანადგომას ითხოვს. ძნელია ყველას აუხსნა, რომ ერთჯერადი ფინანსური დახმარება არაეფექტური და არაფრისმომტანია. საჭიროა სისტემური სიახლეები და საკითხებისადმი რაციონალური მიდგომა. დარწმუნებული ვარ, ის სოციალური პროგრამები, რომლებიც ცენტრალურმა ხელისუფლებამ შეიმუშავა ძალიან მალე პოვებს ასახვას მოსახლეობის ყოველდღიურ პრობლემებზე და ხალხი საკუთარ თავზე იგრძნობს

მათ ეფექტურობას.

— რამდენად შესაძლებელია ამ პრობლემების დროულად მოგვარება?

— მიუხედავად სიძნელეებისა, რამდენიმე მიმართულებით გარკვეული წარმატებები უკვე შეინიშნება. სამწუხაროდ, მთელი ზაფხულის განმავლობაში გვიწევდა აუტანელ გვალვასთან ბრძოლა, რომელმაც რაიონი მნიშვნელოვნად დააზარალა და შესაბამისად, რამდენიმე პროექტის განხორციელებამ ფორსმაჟორულ სიტუაციაში მოგვიწია. მიუხედავად ამისა, ჩვენი საქმიანობა ოდნავადაც არ შენელებულა. მუნიციპალიტეტში ჩატარდა საკადრო რეორგანიზაციის ორი ეტაპი, მოხდა თანამდებობების ენერგიული და გამოცდილი კადრებით დაკომპლექტება. მუშაობა სრული დატვირთვით მიმდინარეობს, როგორც ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების, ისე ჯანდაცვისა და კულტურის სფეროების მიმართულებით.

— ინფრასტრუქტურულ პროექტებზე კონკრეტულად რას გვეტყვით?

— ყველა საჭირბოროტო საკითხს, რომელიც რაიონს აწუხებს, ერთობლივად განვიხილავთ და გადაწყვეტილებებს ურთიერთშეთანხმებულად ვიღებთ. ხშირად დავდივართ რაიონის სოფლებში, მოსახლეობას ვესაუბრებით და იმ პრობლემას, რომელთა მოგვარება ყველაზე სასწრაფო და მნიშვნელოვანია, ადგილზე ვეცნობით. დღეისათვის გრძელდება სამშენებლო და ინფრასტრუქტურული პროექტები. მოასფალტდა ცენტრში მისასვლელი და მოიხრეშა სოფლის გზები, რისთვისაც 200 000 ლარი იყო გათვალისწინებული. ეტაპობრივად ვახორციელებთ პროგრამას, რომელიც ყველა სოფლის სარწყავი და სასმელი წყლით უზრუნველყოფას ითვალისწინებს. ახლახან, დამატებით 400 ოჯახის სასმელი წყლით უზრუნველყოფა მოხერხდა. გარდა ამისა, სოფელ ჩხარში გავაკეთეთ სათაო ნაგებობა, რომელიც 3500 ლარი დაჯდა. ეს ასევე გააუმჯობესებს წყლით მომარაგების საკითხს. რაც შეეხება თერჯოლის გაზიფიცირებას, აღსანიშნავია, რომ ბუნებრივი აირის ძირითადი მაგისტრალი რაიონული მასშტაბით ადგილებზეა მიყვანილი. ველოდებით საკვანძო ტრასების საბოლოო ჩაბარებას და მალე მივაღწევთ იმას, რომ თერჯოლის რაიონში ყველა ოჯახი ბუნებრივი აირით იყოს უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, უახლოეს დღეებში ინფრასტრუქტურის მიმართულებით კვლავ გამოცხადდება რამოდენიმე ტენდერი და პროექტების განხორციელება უწყვეტად გაგრძელდება.

— ახალ სასწავლო წელს რა სიახლეებით შეხვდით?

— ამ მიმართულებით რამდენიმე სიახლე გვაქვს. როგორც მოგეხსენებათ, მას შემდეგ, რაც საბავშვო ბაღებში სწავლა უფასო გახდა, მათი დატვირთვა, როგორც ცენტრში, ისე რეგიონებში მნიშვნელოვნად გაიზარდა. აქედან გამომდინარე, რაიონის ხელმძღვანელობა ყველა ღონეს ხმარობს, რათა მოსახლეობას ამ სფეროში არანაირი პრობლემა არ შეექმნას. უკანასკნელ პერიოდში ჩვენი ძალისხმევით 7 საბავშვო ბაღში განხორციელდა რეაბილიტაცია და რემონტი. გარდა ამისა, 250 000 ლარი იყო გამოყოფილი 2 ახალი ბაღის ასაშენებლად, თუმცა გაურკვეველი მიზეზების გამო ეკონომიკის სამინისტრომ მათ ბალანსზე არსებული ქონების ჩვენთვის გადმოცემა დაგვიგვიანა. ასევე შეგვაყოვნა განათლების სამინისტროს ბალანსზე არსებული სკოლის მიმდებარე ნაგებობის საკითხის გარშემო წარმოქმნილმა გაურკვევლობამ, თუმცა კომუნიკაცია გრძელდება და იმედი გვაქვს საბოლოოდ ყველაფერი მოსახლეობის სასიკეთოდ დასრულდება.

— სამომავლო გეგმებს რაც შეეხება?

— ბოლომდე გავაკეთებთ იმას, რასაც მოსახლეობას დავპირდით. გაგრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები. ვფიქრობ, 21ე საუკუნეში ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობების არარსებობა მართლაც მიუღებელია. დარწმუნებული ვარ, რაც დრო გავა, ჩვენი მთავრობისა და ენერგიული პრემიერ-მინისტრის ძალისხმევით საქართველო უფრო აღორძინდება. ამ ეტაპზე ქვეყანაში განახლების პროცესი მიმდინარეობს და მოსახლეობა თავად იხილავს ქვეყნის წინსვლას წარმატებისაკენ.



საქართველოსთვის დამოუკიდებელი, საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ეკონომიკური სისტემის ფორმირების პირველი წლები განსაკუთრებით რთული აღმოჩნდა. ქვეყანა რადიკალური და სწრაფი ეკონომიკური რეფორმების აუცილებლობის წინაშე დადგა. თუმცა, საქართველოში გასული წლების ეკონომიკურმა რეფორმებმა სასურველი შედეგი ვერ მოიტანა. ისინი, ხშირ შემთხვევებში არათანმიმდევრული და სპონტანური იყო, რამაც მასობრივი გამოსვლები, გაფიცვები და სახალხო პროტესტი გამოიწვია. ოპოზიციური პარტიების გაერთიანება და ახალი კოალიციის „ქართული ოცნების“ დაარსება ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა მოახერხა. მან თამამი არჩევანით, დასაბამი მისცა ძლიერ კოალიციას და 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვების მოპოვება შეძლო. ინოვაციური და დროული გადაწყვეტილების შედეგად, რამდენიმე თვის შემდეგ, მთავრობის მართვა „ქართული ოცნების“ ახალგაზრდა ლიდერს, ირაკლი ღარიბაშვილს მიანდო, რომლის ხელმძღვანელობით ქვეყანა განვითარების ახალ გზას დაადგა.

საქართველოს დღევანდელი მთავრობა მიზნად ისახავს განახორციელოს თანამიმდევრული ეკონომიკური პოლიტიკა, რომელიც ქვეყნის მდგრად განვითარებას უზრუნველყოფს. ამისათვის საჭიროა თვითმმართველობის ორგანოებთან მჭიდრო თანამშრომლობა, რათა სახელმწიფომ რეგიონებში წაახალისოს კერძო სექტორი, ხელი შეუწყოს ინვესტიციების მოზიდვას, მოახდინოს ინფრასტრუქტურის განვითარება, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის სრულყოფა და ხელმისაწვდომი ჯანდაცვის უზრუნველყოფა. სამტრედიის რაიონში ამ მიმართულებების ხელმძღვანელობა, არჩევნების შედეგად ხალხმა მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარეს, ბატონ **ნუგზარ ჯამბურიას** და გამგებელს, ბატონ **ვალერი ფოცხვერიას** მიანდო. სამტრედიაში მათი სჯერათ, ეიმედებათ და მომავალს იმედით ელოდებიან.

სოციალურ გაჭირვებას უნდა მივხედოთ

– ბატონო ვალერი, გამგებლის თანამდებობაზე დანიშვნამდე რას საქმიანობდით?

– განათლებით იურისტი ვარ. 90-იან წლებში ეროვნულ მოძრაობაში ვიყავი და პოლიტიკური პროცესების აქტიური მონაწილე გახლდით. 1998 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის სიით მივიღე მონაწილეობა და საკრებულოს იურიდიული კომისიის თავმჯდომარის თანამდებობა დავიკავე, ხოლო 2002 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ჩემი სოფლის გამგებელი და რაიონის საკრებულოს სპიკერი გავხდი. 2004 წელს,



ხელისუფლებაში „ნაციონალური მოძრაობის“ მოსვლის შემდეგ, განცხადება დავწერე, თანამდებობა დავტოვე და სოფლის მეურნეობის საკითხებით ვიყავი დაკავებული. როდესაც პოლიტიკურ ასპარეზზე ბიძინა ივანიშვილი გამოჩნდა, მიმდინარე პროცესებში აქტიური მონაწილეობა მივიღე. ჩემმა გუნდა გადაწყვიტა კენჭი გამგებლის თანამდებობაზე მეყარა. საკრებულოში უმრავლესობით „ქართული ოცნება“ მოვიდა და შესაბამისად, გამგებლის თანამდებობა დავიკავე.

ნუგზარ ჯამბურია

— რას გვეტყვით რაიონში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ?

— ინფრასტრუქტურის სამსახური 24 საათიან რეჟიმში მუშაობს. მიუხედავად იმისა, რომ რამოდენიმე თემში წყალსადენი მოწესრიგდა და მოსახლეობა ჩატარებული სამუშაოებით კმაყოფილია, რაიონში ერთ-ერთ მთავარ მოსაგვარებელ საკითხად მაინც წყლის პრობლემა რჩება. ამ მხრივ ყველაზე სავალალო მდგომარეობა ქორეისუბანში დაგვხვდა, სადაც მიუხედავად არაერთხელ შეკეთებული წყალსადენისა, 50-მდე ოჯახს სასმელი წყალი წლებია არ მიეწოდება. ბიუჯეტში შესაბამისი თანხების არარსებობის გამო პრობლემის მოგვარებას მოკლე დროში შეუძლებელია, თუმცა მომავალ წელს აღნიშნული პრობლემა საბოლოოდ გადაწყდება. წყლის პრობლემა 21-ე საუკუნეში წარმოუდგენელია არსებობდეს. ვფიქრობ, ეს არასწორი დაგეგმარების ბრალია და სადღეისოდ უპირველესია, რაც მოსახლეობას უნდა მოვუგვაროთ.

— სოციალური კუთხით როგორი მდგომარეობაა?

— ყველა რაიონის მსგავსად, სამტრედიაშიც მთავარი პრობლემა უმუშევრობაა. ხელისუფლება ცდილობს აღნიშნული პრობლემა დროულად მოაგვაროს, თუმცა ეს არც ისე მარტივი გადასაწყვეტია. სოციალური კუთხით ხალხს ძალიან უჭირს, ჩვენ კი საბიუჯეტო თანხების სიმცირის გამო მწირი შესაძლებლობა გვაქვს. სოციალურად დაუცველ ოჯახებზე,

ერთჯერადი დახმარების სახით მხოლოდ 150 ლარია გათვალისწინებული, რაც, დამეთანხმებით, მიზერული თანხაა. ხალხი ძირითადად გამგეობაში და სკოლებშია დასაქმებული ან ვაჭრობით თუ ირჩენს თავს. სამტრედია რკინიგზის ქალაქი იყო, მაგრამ ამჟამად დასაქმებულთა რიცხვი იქაც შემცირებულია. საბედნიეროდ, მოიშალა ის მანკიერი მოვლენა, როდესაც, წინა ხელისუფლების დროს, ბიზნესმენებზე არნახული ზეწოლა ხორციელდებოდა, შესაბამისად, ჩვენი ამოცანაა, სამუშაო ადგილების შესაქმნელად კერძო ბიზნესის ხელისშეწყობა მოვახდინოთ, რათა სოციალურ გაჭირვებას როგორმე მიეხედოს და ხალხი დასაქმდეს.

— ჯანდაცვის სფეროში რა სიახლეებია?

— ამ მიმართულებით აღსანიშნავია, რომ სამტრედიის სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ავტოპარკი სექტემბრიდან მოსახლეობას განახლებული ავტომანქანებით მოემსახურება. მოგეხსენებათ, რაიონს ამორტიზებული მანქანები ჰყავს, რომელიც მომსახურების პროცესს სერიოზულად აფერხებს. ოქტომბრიდან ავტოპარკი სრულად განახლდება, რაც სტრუქტურის საქმიანობას უფრო ეფექტურს გახდის. ამ ეტაპზე სერვის ცენტრს სამი ავტომანქანა და 12 ექიმი ემსახურება. ისინი 24 საათიან რეჟიმში მუშაობენ.

— მალე ახალი სასწავლო წელი დაიწყება...

— ახალი სასწავლო წლისთვის სამზადისი მთელი ქვეყნის მასშტაბით უკვე დაწყებულია. ამ მხრივ გამონაკლისი არც სამტრედიაა. მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო სკოლა მოსწავლეების მისაღებად მზადაა. წელს, გასული წლის მსგავსად, 434 პირველ კლასელი, საჩუქრად ახლებურ „ბუქს“ მიიღებს. სხვა წლებისგან განსხვავებით, პირველად, პერსონალურ „ნოუთბუქს“ საჩუქრად მიიღებს პირველი კლასის ყველა დამრიგებელი. რაც შეეხება სახელმძღვანელოებს, უკვე ჩამოსულია და მზად არის გასანაწილებლად. საჭიროებისამებრ მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოები რიგ სკოლებში. გაგრძელდება მოსწავლეთა უზრუნველყოფა ტრანსპორტით და რაიონის 35 სკოლიდან, 22-ს ტრანსპორტი მოემსახურება.

გვესააუბრება სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურია

— ბატონო ნუგზარ, რა სიახლეებია საკრებულოში?

— ხელისუფლება სამართლიანი არჩევნების გზით შეიცვალა და მოსახლეობამ სრული ნდობა ჩვენს გუნდს გამოუცხადა. ამიტომ ნურავის გაუკვირდება, რომ ადგილობრივი ხელისუფლება გამარჯვებული გუნდის წევრებით კომპლექტდება. თუმცა, ჩვენ პროფესიონალიზმს ვითვალისწინებთ და რამდენიმე გამოცდილმა კადრმა, მიუხედავად პოლიტიკური ორიენტაციისა, თანამდებობა შეინარჩუნა. მინდა აღვნიშნო, რომ რეორგანიზაცია ამით არ დასრულებულა. მეორე ეტაპზე კონკრეტული სამსახურების საშტატო ერთეულები გადაიხედება, რაც ოპტიმალურ გადაწყვეტას მოითხოვს. ეს გადაუდებელ აუცილებლობას წარმოადგენს, რადგან ჩვენს პრიორიტეტად მოსახლეობის სოციალური ფონის გაუმჯობესება, ინფრასტრუქტურული პროექტების სწორად მართვა და ახალი ინსტიტუციების შექმნა რჩება.

— სოფლის პროექტების მხრივ რა მდგომარეობაა?

— „სოფლის პროგრამებს“ რაც შეეხება, სამუშაოები ნორმალურად სრულდება. არის გარკვეული ხარვეზები, თუმცა მივიღეთ დაპირება, რომ

უახლოეს ხანში ყველაფერი გამოსწორდება. სამტრედიის მუნიციპალიტეტში, 2014 წელს სოფლის მხარდაჭერის პროგრამით 140 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდება. სამუშაოები დაახლოებით 2 თვის წინ დაიწყო და წლის ბოლოს დასრულდება. ყველა პროექტი მოსახლეობის თანამონაწილეობით დაიგეგმა და ძირითადად, საზოგადოების თავშეყრის ადგილების მოწყობას, სასმელი წყლის სისტემის რეაბილიტაციას, ბაგა-ბაღების, გზების, სასაფლაოების მოწესრიგებას და არხების გაყვანას მოიცავს. სამუშაოები ზოგან დასრულებულია, ხოლო ზოგიერთი დასრულების ფაზაშია. მოგეხსენებათ, სოფლის პროგრამების დაფინანსება არც ისე დიდი მასშტაბისაა, თუმცა კარგი ხელმძღვანელი ისე დაგეგმავს, როგორც სოფელს სჭირდება. პროგრამის შედეგები უკვე სახეზე გვაქვს, თუმცა, როგორც აღვნიშნე უფრო უნდა დაიხვეწოს და ხარისხზე აისახოს. რამდენიმე დღის წინ, ნაბაკევის თემში, სწორედ სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მიმდინარე და დასრულებული სამუშაოები დავათვალიერეთ. ინფრასტრუქტურული სამუშაოებისთვის გამოყოფილი 70 120 ლარით

პროექტების უმრავლესობა შესრულებულია. განხორციელდა გზის მოხრეშვა, მინი სტადიონების მოწყობა, ღამის განათების მოწესრიგება, სასაფლაოების შემორაგვა და სხვა წვრილმანი სამუშაოები.

— მოსახლეობას რა სახით უწევთ თანადგომას?

— ახლახან, ყოფილი საავადმყოფოს შენობაში კომპაქტურად შესახლებულ დევნილთა ტერიტორიის დასუფთავება მოეწყო, რომელშიც ჩვენი საკრებულოს და აპარატის წარმომადგენლები ჩავებით. ყოფილი საავადმყოფოს შენობაში აფხაზეთიდან დევნილი 79 ოჯახი ცხოვრობს. აღნიშნული შენობა საკრებულოს ბალანსზე არ იმყოფება, მაგრამ თუ ჩვენი მხრიდან მათთვის დახმარების გაწევა იქნება შესაძლებელი, ძალებს არ დავიშურებთ. იქ, სადაც შესაძლებელი იყო განათების დამონტაჟება, უკვე გაკეთებულია. შეირჩა ალტერნატიული სადენები და ბოძები, რათა დანარჩენი პერიმეტრი განათდეს. ასევე დასუფთავდა ეზო და მოიცელა სარეველა ბალახები. მადლობა მინდა გადავუხადო ყველა იმ სამსახურს, რომლებიც აქციაში ჩვენს გვერდით იდგა. მათ ღირსეულად შეასრულეს თავიანთი ფუნქცია. აღსანიშნავია, რომ ამ მხრივ მძიმე მდგომარეობაა ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზეც. ამ პრობლემის ირგვლივ მუშაობა საკრებულოს ერთ-ერთი მიმართულება იქნება.

— მინდა წარმატება გისურვოთ სამომავლო საქმიანობაში...

— მადლობა კეთილი სურვილებისათვის. ამ თანამდებობაზე მუშაობა, მითუმეტეს დღევანდელ პირობებში, უზარმაზარი ტვირთია და პასუხისმგებლობა ჩემს ცხოვრებაში. დიდი სურვილი მაქვს სამშობლოს, ოჯახის, ამომრჩევლის მიერ დაკისრებული მოვალეობა პირნათლად შევასრულო. ათეული წლების განმავლობაში მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემების მოგვარება იქნება ღირსებული ვალის მოხდა ქვეყნის წინაშე. ჩვენი გუნდი ენერგიას არ დაიშურებს უპირველესი ამოცანების შესასრულებლად.

სამშენებლო კომპანია

შპს „მეგობრობა 2015"

Building Company

ქ. ბათუმი. ინასარიძის ქ. №8

bat.elit.home@mail.ru
www.bathome.ge

ელიტური
საცხოვრებელი
კომპლექსი
ზღვიდან
150 მეტრში

საკონტაქტო ინფორმაცია
+995 599 27-27-27; +995 (0422) 27-41-27

ვაშენებთ ევროსტანდარტების მიხედვით;
ტექნოლოგიური ნოვაციების გამოყენებით;
საუცხოო არქიტექტურული იერსახე და დახვეწილი ფასადი.
ეკოლოგიურად სუფთა გარემო;

ფასები 430 დოლარიდან

შპს „გზამგები"

ქუთაისი,
ზვიად გამსახურდიას
I შეს. №12
ტელ: (0431) 27 35 41
E-mail: gzamgebi@mail.ru

შპს „**გზამგები**" ფუნქციონირებს 2005 წლიდან. კომპანიის საქმიანობის ძირითადი სფეროა საავტომობილო გზებისა და გზასთან დაკავშირებული ნაგებობების მშენებლობა და შეკეთება. კომპანიას საკუთრებაში გააჩნია ასფალტობეტონის ქარხანა **DC 117-4**, რომელიც განთავსებულია სადგურ რიონის ტერიტორიაზე. მისი წარმადობაა დღეში 300 ტონა. კომპანია ფლობს თერჯოლის რაიონ სოფელ ჯვახჭირის ტერიტორიაზე მდინარე ყვირილას მარჯვენა ნაპირზე ქვიშა-ხრეშის მოპოვების ლიცენზიას.

ჯარიერიდან მოპოვებული ქვიშა-ხრეში გადამუშავდება 0,5 და 0,8 ფრაქციების ქვიშად და 0,15; 0,18; 0,20; 0,40 ღორღის ფრაქციებად, რომლებიც გამოიყენება სხვადასხვა სამშენებლო სამუშაოებისათვის. კომპანიას საკუთრებაში გააჩნია ქვის სამსხვრევი დანადგარი კომპლექტში, ასფალტობეტონის მტკეპნი, ავტოთვითმცლელი, ექსკავატორი, ბულდოზერი და სხვა სატრანსპორტო მექანიზმები. კომპანიის ადმინისტრაციაში ძირითადად დასაქმებულია 10 პირი, ხოლო სხვადასხვა ობიექტზე 55 მუშა.

კომპანიის მენეჯმენტს გააჩნია სტრატეგიული მიმართულებები. გეგმავს ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობასთან კონსტრუქციული თანამშრომლობით ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და მუშა-მოსამსახურეთა სოციალური პირობების კიდევ უფრო გაუმჯობესებას, რაც თავის მხრივ ჩვენი ქალაქის განვითარებაში შეტანილი წვლილი იქნება.

კომპანიას ხელმძღვანელობს **პეტრე გადელია**, რომელსაც გააჩნია მრავალწლიანი სამეურნეო და ბიზნეს გამოცდილება.

კომპანია პარტნიორობისთვის იწვევს ყველა დაინტერესებულ პირს.

KOPOS





კომპანია „KOPOS ELECTRO“ აფართოვებს პორთფოლიოს და გთავაზობთ ახალ პროდუქტს!

კომპანია „KOPOS ELECTRO“ საქართველოში, ელექტრო საინსტალაციო მასალების მწარმოებელ, ჩეხური ჰოლდინგის, „KOPOS KOLIN“ შვილობილ კომპანიას წარმოადგენს.

KOPOS KOLIN a.s.-ი არის ელექტრო საინსტალაციო მასალების ევროპული მასშტაბის მძლავრი მწარმოებელი, რომლის პროდუქცია სრულად მზადდება ჰოლდინგ KOPOS KOLIN a.s.-ს საწარმოში, ჩეხეთის რესპუბლიკაში. იგი სერტიფიცირებულია ISO 9001 და ISO 14001 საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ასევე შეესაბამება ევროკავშირის ქვეყნებში ყველა აუცილებელ სტანდარტის ნორმებს.

ჰოლდინგ KOPOS KOLIN a.s.-ს პროდუქცია წარმოადგენს ელექტრო საინსტალაციო სამონტაჟო მასალების ფართო სპექტრს, როგორიცაა:

- კაბელარხები
- დრეკადი და მყარი მილები (PVC ,P)
- კაბელების მზიდი ლითონის კონსტრუქციები, (სისტემა MARS და JUPITER)
- სხვადასხვა სახის ა და დანიშნულების ელექტრო კოლოფები
- სამაგრი მასალები







KOPOS ELECTRO LTD

5 წელი ქართულ ბაზარზე!

www. kopos.ge

E-mail: info@kopos.ge

Tbilisi. 13 Kiziki Str. Office: +995 322 36 81 91

OEZ

2014 წლის 1 აგვისტოდან "კოპოს ელექტრო" გახდა ჩეხური კომპანია „OEZ"-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში.

ბაზარზე 70 -წლიანი მუშაობის შედეგად კომპანია „OEZ"-ი, ავტომატური გამომრთველებისა და დამცავების მწარმოებლისაგან გადაიზარდა კომპლექსურ მომწოდებლად, პროდუციისა და ელექტრონული ჯაჭვების , ასევე დაბალი ძაბვის აღჭურვილობის დარგში.

2007 წლიდან კომპანია „OEZ"-ი გახლავთ SIEMENS ჯგუფის წევრი.

კომპანიის პროდუქციის პროგრამას წარმოადგენენ შემდეგი მასალები:

- სამოდულოხელსაწყო (სერია Minia);
- კომპაქტური ავტომატური გამომრთველები (სერია Modeon);
- დამცავი სისტემები (სერია Varius);
- გამანაწილებელი ფარები და კარადები (სერია Distri);
- საკომუტაციო და მმართველი ხელსაწყოები (სერია Conteo.)

კომპანია „OEZ"-ის პროდუქტი წარმატებით გამოიყენება ენერგეტიკის სფეროში, ინფრასტრუქტურაში, მრეწველობასა და მშენებლობაში. კომპანია ასევე წარმატებით მონაწილეობს სხვადასხვა ტენდერებში, რაც ზემოთხსენებულ დარგებში,რთული პროექტებისათვის საქონლის მიწოდებას ითვალისწინებს.

კომპანია "KOPOS ELECTRO" გთავაზობთ ჩეხური წარმოების, ევროპული ხარისხის ახალ პროდუქტს!!!

www. kopos.ge
E-mail: info@kopos.ge
Tbilisi. 13 Kiziki Str. Office: +995 322 36 81 91

100+ წელი
საღებავების სამყაროში

№1
გერმანიაში

Alpina

თქვენი შვილის ჯანმრთელი გარემოსათვის

ალპინა ბავშვის ოთახის
თქვენი შვილის საყვარელი ფერი

- ჯანმრთელი მიკროკლიმატისათვის
- ძალიან კარგად იწმინდება
- ბავშვისათვის ყველა სასურველი ფერი

ალპინა. გამოაცოცხლე შენი სახლი

უძრავი ქონების გამოფენა

24-27 სექტემბერი 2014

გამოფენების ცენტრი "ექსპოჯორჯია"

ა. წერეთლის გამზირი 118, თბილისი, საქართველო

ტელ: +995 32 234 11 00 • EXPO@EXPOGEORGIA.GE • WWW.EXPOGEORGIA.GE

Grand Rixoss Palace

სასტუმროს მომსახურების ობიექტების ინფრასტრუქტურა ფრიად მრავალფეროვანია: მის შემადგენლობაში შედის
- რესტორანი
- ფიტნესი
- ბილიარდი
- აუზი
- ღამის ჯლუბი








E-mail: mail@demolink.org
www,grandrixosspalace.ge

საკონტაქტო ინფორმაცია

GRAND RIXOSS PALACE.
6000, ბათუმი აეროპორტის,
გზატკეცილი №124,
Telephone: +995 593 837373
Telephone: 0422 218787

უნიკალური მაგნიტური ქვიშის პლაჟი

ყველაზე თბილი შავი ზღვა მთელ სანაპიროზე

Sanatorium
კოლხიდა
Санаторium

sanatorium

Kolkhida







საკონტაქტო ინფორმაცია

საქართველო, ოზურგეთი, ურეკი,

ქ. თაყაიშვილის ქ. №117

ტელეფონი: +995 599205445

ტელეფონი: +995 790302203

E-mail: kolkhida.hotel@gmail.com

Real Palace

Building Company

Georgia, Batumi.
Tel.: +995 593 12-47-47
+995 514 07-47-47
+995 514 68-47-47
realpalace2012@gmail.com
www.real-palace.com

მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი „Real Palace" - ნამდვილი სენსაცია უძრავი ქონების ბაზარზე!

Real Palace აგრძელებს მრავალსართულიანი ბინების მშენებლობას ბათუმში. ჩვენი ახალი მშენებარე კომპლექსის პროექტი შედგენილია საუკეთესო არქიტექტორების გუნდის მიერ.

ჩვენს მიერ ამჟამად შენდება 2 კომპლექსი - 18 და 25 სართულიანი საცხოვრებელი სახლები, რომელიც შენდება იუსტიციის სახლის მიმდებარე ტერიტორიაზე.

18 სართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი შედგება 7289 კვ/მ საცხოვრებელი და 453 კვ/მ კომერციული ფართისგან. შენობას ასევე ექნება 477 კვ.მ მიწისქვეშა პარკინგი. კომპლექსის მშენებლობა მთავრდება 2015 წლის დეკემბერში.

25 სართულიანი საცხოვრებელი კომპლექსი ბარდება 2015 წლის დეკემბრამდე, მშენებლობის საწყის ეტაპზე კვადრატული მეტრის ფასი ერთიანი გადახდის შემთხვევაში იწყება 450$-დან.

მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლები შენდება ქ. ბათუმის პრესტიჟულ და პერსპექტიულ უბანში, ახალ ბულვართან, ზღვასთან ახლოს, ფიროსმანის ქუჩის მიმდებარე ტერიტორიაზე.

ბინებიდან გაიშლება საუკეთესო შავი ზღვის სანაპიროსა და ბათუმის საუკეთესო ხედი.

კომპლექსი მდებარეობს ზღვის სანაპიროდან 100, იუსტიციის სახლიდან - 150 და ბათუმის ახალი ბულვარიდან 100 მეტრში.

შ.პ.ს. „**Real Palace**" ბინის შეძენისას მომხმარებელს თავაზობს 1 წლიან უპროცენტო განვადებას, რაც თავიდან აარიდებს მყიდველს ბანკთან ურთიერთობას და ზედმეტი თანხის გადახდას.